

შპს „მოზაიკა პლიუსი“ – ს.კ. 205261107

2022 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „მოზაიკა პლიუსი“ დაფუძნდა და რეგისტრირებულია საქართველოში 2008 წლის 05 აგვისტოს და, როგორც დამოუკიდებელი იურიდიული პირი, თავის ეკონომიკურ საქმიანობას ეწევა საქართველოს რესპუბლიკაში.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის უშუალო დამფუძნებლებია: სალომე კობალაძე – 40%, ანა ჩოდრიშვილი – 40 %, ქეთევან ჟორჯოლიანი – 20 %.

შპს „მოზაიკა პლიუსი“ 2022 წლის 02 დეკემბრამდე ინვესტიცია ჰქონდა განხორციელებული 80 % წილით სხვა იურიდიული კომპანიაში და ასევე ერთობლივ საქმიანობაში სხვა კომპანიაში.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სარეკლამო მასალების, ბრენდირებული აქსესუარების დამზადება, ივენთების მოწყობა და სხვა. კომპანიის ოფისი განთავსებულია ქ. თბილისი, ბესიკ ბურკიაშვილის ქ. № 6.

კომპანიის რეგისტრირებული მისამართია ქ. თბილისი, მცხეთის ქ. № 1.

2022 წელს კომპანიის თანამშრომელთა საშუალო რაოდენობა შეადგენს 36.

2 . კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულებში (ლარი).

ფუნქციონალური ვალუტა. კომპანიის თითოეული ერთეულის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული ელემენტები აღრიცხულია კომპანიის საოპერაციო ეკონომიკური გარემოს ძირითად ვალუტაში (ფუნქციონალური ვალუტა). კომპანიის დამფუძნებლის ფუნქციონალური ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი“). კომპანიის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საპრეზენტაციო ვალუტაა ლარი.

უცხოური ვალუტა კომპანიის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ისეთი ვალუტა რომელიც განსხვავდება კომპანიის ფუნქციონალური ვალუტისაგან (უცხოური ვალუტა) აღიარებულია ტრანზაქციის თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყველა პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დეპონირებული ფულადი სახსრები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ

დადგენილი კურსით. ფულადი სახსრების საკურსო სხვაობები აღიარებულია მოგება-ზარალში იმ პერიოდში, რომელშიც ისინი წარმოიშვა.

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოსათვის არსებული გაცვლითი კურსები, რომლებიც კომპანიამ გამოიყენა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას:

31/12/2022

ლარი/აშშ დოლარი	2.702
ლარი/ევრო	2.8844

მომზადების საფუძველი. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვებით, რომ კომპანია არის ფუნქციონირებადი საწარმო და ოპერირებას გააგრძელებს განჭვრეტად მომავალში.

ონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების მომენტისათვის, დირექტორს გონივრული მოლოდინი აქვს, რომ კომპანიას საკმარისი რესურსები გააჩნია ფუნქციონირებად მდგომარეობაში დარჩეს განჭვრეტად მომავალში. ამდენად, ისინი კვლავ განაგრძობენ ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსის საფუძველზე აღრიცხვას კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების მომენტში.

აღრიცხვის საფუძველები. წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად პირვანდელი ღირებულებების საფუძველზე. პირვანდელი (ისტორიული) ღირებულება ეფუძნება საქონლის ან მომსახურეობის სანაცვლოდ გაცემული აქტივების თვითღირებულებას.

ქვემოთ აღწერილია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების მომზადების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები. ეს პოლიტიკები გაგრძელდა ყველა საანგარიშგებო პერიოდებზე, თუ სხვაგვარად არაა მითითებული.

კონსოლიდირებული ანგარიშგება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის შესახებ

შპს. "მოზაიკა პლიუსი"

კონსოლიდირებული ბალანსი 2022

ლაზმუშო	12/31/2022	12/31/2021	12/31/2020
---------	------------	------------	------------

აქტივები

ბრძელგაღიანი აქტივები

ძირითადი საშუალებები	3	93,474	67,171	70,066
არამატერიალური აქტივები	4	2,329	2,740	3,223
აქტივის გამოყენების უფლება		95,712	24,056	81,789

იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა			1,490	5,067
ბრძელვადიანი ინვესტიციები	5		0	0
სულ ბრძელვადიანი აქტივები		191,515	95,457	160,145

მიმდინარე აქტივები

ფული და ფულთან ბათანაბრებული ინსტრუმენტები	6	828,619	847,685	1,173
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	7	376,286	320,546	488,209
მარაგები	8	396,498	200,721	57,077
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები		110,557	42,169	4,934
საგადასახადო აქტივები			682	733
სხვა მიმდინარე აქტივები	9	1,602	5,482	5,482
სულ მიმდინარე აქტივები		1,713,562	1,417,285	557,608
სულ აქტივები		1,905,077	1,512,742	717,753

გაპიტალი

საწესდებო გაპიტალი			0	0
გაუნაწილებელი მოგება/დაუფარავი ზარალი მშობელი საწარმოს მფლობელთათვის		105,442	74,726	(121,279)
გაუნაწილებელი მოგება/დაუფარავი ზარალი არამაპონტროლებელი წილის მფლობელთათვის			(3,222)	(3,222)
რეზერვები				
სულ გაპიტალი		105,442	71,504	(124,501)

გაღებულებები

ბრძელვადიანი გაღებულებები

ბრძელვადიანი სესხები				
ბრძელვადიანი ფინანსური იჯარის გაღებულება	10	29,727	0	30,471
გადავადებული შემოსავალი		0	0	0
სულ ბრძელვადიანი გაღებულებები		29,727	0	30,471

მიმდინარე გაღებულებები

მოკლევადიანი სესხები	11	410,000	488,300	200,000
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი გაღებულებები		292,785	242,431	500,421
ბრძელვადიანი ფინანსური იჯარის მიმდინარე გაღებულება		60,664	28,887	69,785
საგადასახადო/საპენსიო ფონდის გაღებულებები	12	328,662	274,321	39,654
გადასახდელი პროცენტი			185	432
გამოუმუშავებელი შემოსავალი	13	677,797	407,114	1,491
სულ მიმდინარე გაღებულებები		1,769,908	1,441,238	811,783
სულ გაღებულებები		1,799,635	1,441,238	842,254
სულ გაღებულება და გაპიტალი		1,905,077	1,512,742	717,753

შპს. "მოზაიკა კლიუსი "

კონსოლიდირებული მოგება/ზარალი 2022 წელი

ლარებში 2,022 2,021

ამონაგები	14	5,825,302	3,553,759
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(3,279,868)	(2,050,946)

საერთო მოგება		2,545,434	1,502,813
---------------	--	------------------	------------------

სხვა შემოსავლები	15	562	36894
შრომის ანაზღაურება		(2,154,839)	(1,111,164)
საიჯარო ქირა		(19,971)	(18,018)
ცვამთა		(24,081)	(19,554)
ამორტიზაცია		(411)	(483)
ფინანსური იჯარით აღებული ქონების ამორტიზაცია		(63,466)	(57,733)
საკურონო სხვაობა			
აღმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი		(215,583)	(102,494)
არასაკურონო ხარჯი			
საოპერაციო მოგება/ზარალი		67,645	230,261

ფინანსური შემოსავალი		7,430	
არასაკურონო ხარჯი		(4,807)	
ფინანსური ხარჯი (საპროცენტო)		(48,171)	(29,424)
ფინანსური იჯარის საპროცენტო ხარჯი		(4,999)	(4,527)
ფინანსური ხარჯი - წმინდა		(50,547)	(33,951)

მთლიანი სრული მოგება/ზარალი		17,098	196,310
-----------------------------	--	---------------	----------------

გაუნაწილებელი მოგება/დაუფარავი ზარალი მშობელი საწარმოს მფლობელთათვის		17,098	196,310
გაუნაწილებელი მოგება/დაუფარავი ზარალი არამაპრონტროლებელი წილის მფლობელთათვის			

შპს. "მოზაიკა პლიუსი"

კაპიტალის ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიშგება 2022წ.

ღარგეში		საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	დაუფარავი ზარალი	რეზერვები	დივიდენდი	სულ კაპიტალი
---------	--	-----------------------	-------------------------	---------------------	-----------	-----------	-----------------

ბალანსი 31/12/2020 -
ისათვის

0	227,536	(352,037)	0	0	<u>(124,501)</u>
---	---------	-----------	---	---	------------------

წმინდა მოგება
საანგარიშო პერიოდის
(2021 წ.)
წინა პერიოდს
გასწორება

196,310
(305)

196,310
(305)

ბალანსი 31/12/2021 -
ისათვის

0 423,541 (352,037) 0 0 71,504

წმინდა მოგება
საანგარიშო პერიოდის
(2022 წ.)
წინა პერიოდს
გასწორება

16

17,098 16,209 33,307
631 631

ბალანსი 31/12/2022 -
ისათვის

0 441,270 (335,828) 0 0 105,442

3. ძირითადი საშუალებების პირველადი აღიარება ხდება თვითღირებულების მოდელით. თავდაპირველი აღიარების შემდგომი შეფასება ხდება: თვითღირებულებას გამოკლებული შემდგომში დაგროვილი ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის რეზერვი (საჭიროების შემთხვევაში).

მცირე მასშტაბის შეკეთების ხარჯები (და ექსპლუატაციის ხარჯები) აღიარდება მათი განხორციელების დროს პერიოდის ხარჯად. ძირითადი საშუალებების მთავარი ნაწილების ან კომპონენტების გაცვლის ხარჯები კაპიტალიზდება და ხდება ჩანაცვლებული ნაწილების ჩამოწერა.

ცვეთის კალკულაცია ხდება ექსპლუატაციაში შესვლის თარიღიდან კლებადი ნაშთის მეთოდით დადგენილი ნორმების მიხედვით. გაანგარიშებული სასარგებლო მომსახურების ვადები, ნარჩენი ღირებულებები და ცვეთის მეთოდი ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს გადაიხედება. ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური განაკვეთებით:

ოფისის აღწურვილობა – 15 -20 %

კომპიუტერული მოწყობილობა – 40 %

ავეჯი – 20 %

თუ არსებობს წინაპირობა იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა შეიცვლება, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით მოცემული აქტივების ცვეთა შესწორდება შესაბამისად.

	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სულ
31.12.2021	104,533	56,407	160,940
შემოსვლა	41,402	12,758	54,160
გადაფასება			0
გასვლა	(10,459)	(2,750)	(13,209)
31.12.2022	135,476	66,415	201,891

ცვეთა და გაუფასურება			
31.12.2021	(68,640)	(25,129)	(93,769)

პერიოდის ცვლილება	(16,985)	(7,096)	(24,081)
გასვლა	7,355	2,078	9,433
31.12.2022	(78,270)	(30,147)	(108,417)

წმინდა საბალანსო ღირებულება			
31 დეკემბერი 2021	35,893	31,278	67,171
31 დეკემბერი 2022	57,206	36,268	93,474

4. არამატერიალური აქტივების სახით კომპანიას ერიცხება ბუღალტრული პროგრამა და საიტი, ამორტიზაციის დარიცხვა ხდება კლებადი ნაშთის მეთოდით. ამორტიზაციის წლიური განაკვეთია 15 %. ასევე არამატერიალურ აქტივად კომპანიას ერიცხება ფინანსური იჯარით აღებული აქტივის გამოყენების უფლება, რომელზეც გამოყენებულია ამორტიზაციის წრფივი მეთოდი.

	ბუღალტრული პროგრამა 1 ადგილიანი	ბუღალტრული პროგრამა 5 ადგილიანი	საიტი	აქტივების გამოყენების უფლება	სულ
31.12.2021	<u>1,297</u>	<u>2,583</u>	<u>789</u>	<u>24,056</u>	28,725
შემოსვლა				135,122	135,122
გადაფასება					0
გასვლა					0
31.12.2022	<u>1,297</u>	<u>2,583</u>	<u>789</u>	<u>159,178</u>	163,847

ცვლილება და გაუფასურება					
31.12.2021	<u>(881)</u>	<u>(440)</u>	<u>(608)</u>	-	(1,929)
პერიოდის ცვლილება	(62)	(322)	(27)	(63,466)	(63,877)
გასვლა					0
31.12.2022	<u>(943)</u>	<u>(762)</u>	<u>(635)</u>	<u>(63,466)</u>	(65,806)

წმინდა საბალანსო ღირებულება					
31 დეკემბერი 2021	416	2,143	181	24,056	26,796
31 დეკემბერი 2022	354	1,821	154	95,712	98,041

5. გრძელვადიანი ინვესტიციები 2022 წლის 02 დეკემბრამდე მოიცავდა 80 %-ს წილობრივ მონაწილეობას ერთ იურიდიულ კომპანიაში. ინვესტიცია დათმობილ იქნა საბალანსო ღირებულებით.

6. ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები არის თანხა მხოლოდ საბანკო ანგარიშებზე, რომელის ძირითადი ნაწილი წარმოადგენს ბანკის მიერ გაცემული საბანკო გარანტიის უზრუნველყოფას.

7. მოთხოვნა მიწოდებიდან და მომსახურებიდან. მოთხოვნები მომსახურებიდან აღიარებულია საწყისი ღირებულებით. ბალანსში ასახულია ნეტო თანხით უიმედო მოთხოვნების ანარიცხების გამოკლებით. უიმედო ვალების დათვლა ხდება დებიტორული დავალიანების ანალიზის მეტოდიით.

8. სასაქონლო-მატერიალური მარაგების პირველადი ღირებულება აღიარებულია უმცირესობის პრინციპის მიხედვით და მათი ჩამოწერა ხდება საშუალო შეწონილი ღირებულების პრინციპით.

ყოველ წელიწადში ერთხელ კომპანია ახორციელებს მარაგების 100%-ით შემოწმებას. ხდება განცალკევება წლის განმავლობაში გამოვლენილი გამოუსადეგარი, ტექნიკურ მოთხოვნებთან შეუსაბამო და დაზიანებული საქონლისა.

9. 2022 წელს სხვა მიმდინარე აქტივები ითვალისწინებს საპენსიო ფონდში ზედმეტობას.

10. იჯარა ფინანსურ იჯარად კვალიფიცირდება, თუ იჯარის პირობებით მფლობელობასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი გადაეცემა მოიჯარეს. ყველა სხვა იჯარა კვალიფიცირდება, როგორც საოპერაციო იჯარა. გრძელვადიანი ფინანსური იჯარის ვალდებულება კომპანიას წარმოეშვა ფინანსური იჯარის შედეგად ფასს 16 მიხედვით.

კომპანია როგორც მოიჯარე

კომპანია ხელშეკრულების დადებისას აფასებს რამდენად წარმოადგენს ან შეიცავს ხელშეკრულება საიჯარო პირობებს. კომპანია აღიარებს საიჯარო აქტივებსა და შესაბამის საიჯარო ვალდებულებას ყველა საიჯარო ურთიერთობების შემთხვევაში, სადაც ის წარმოადგენს მოიჯარე მხარეს. გამონაკლისია მოკლევადიანი იჯარები (იჯარის ვადა 12 თვე ან უფრო ნაკლები) და იჯარის ხელშეკრულებები მცირე ღირებულების აქტივების შესახებ.

ბრეჟელვადიანი ვალდებულებები

	2022	2021	2020
ვალდებულებები ფინანსურ იჯარაზე	29,727	0	30,471
	<u>29,727</u>	<u>0</u>	<u>30,471</u>

11. მოკლევადიანი სესხები მოიცავს საკრედიტო ხაზს, რომლის დაფარვის ვადაა 19.12.2023 წ. და საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 14.3 %. გარდა საკრედიტო ხაზისა კომპანიას აქვს აღებული სხვა მოკლევადიანი სესხებიც ბანკიდან: 100 000 ლარი 14.3 % განაკვეთით, დაფარვის ვადაა 30.11.2023, 100 000 ლარი – 14.3 % - დაფარვის ვადა 20.03.2023, 110 000 ლარი – 14.3 %, დაფარვის ვადა 03.02.2023 წელი. საწარმო დაწესებულებას სასესხო ხელშეკრულების თანახმად არ აქვს შეზღუდვები, რომლის თანახმადაც საჭიროა ფინანსური დაწესებულების თანხმობა ნებისმიერი კაპიტალური ინვესტიციების განსახორციელებლად.

12. საგადასახადო/საპენსიო ფონდის ვალდებულება ძირითადად მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს.

13 გამოუმუშავებელ შემოსავალს წარმოადგენს მიღებული და დაბეგრული ავანსები.

14. ამონაგები შეადგენს სარეკლამო მომსახურებიდან მიღებულ შემოსავლებს, რომლის აღიარებაც ხდება აღებული ვალდებულებების ფაქტიური შესრულების თარიღით.

15. სხვა შემოსავლად აღიარებულია მომწოდებლების მიერ ვალის პატიება.

16. საანგარიშო პერიოდში წმინდა მოგება გაიაზარდა 2011 წლის ჩამოწერილი დებიტორული დავალიანების 1163 ლარის 2022 წელს მიღებით და შემცირდა წინა პერიოდის რეალიზაციის შემცირებით 532 ლარით.

შპს “მოზაიკა პლიუსი”-ს დირექტორი

სალომე კობალაძე

